კულტურის საკითხების გაშუქების ტრანსფორმაცია ქართულ ციფრულ მედიაში
TRANSFORMATION OF CULTURAL COVERAGE IN GEORGIAN DIGITAL MEDIA

მაკა დოლიძე

პროფესორი

საქართველოს დავით აღმაშენებლის

სახელობის უნივერსიტეტი (სდაუსუ)

Maka Dolidze

Professor

David Aghmashenebeli

University of Georgia (DAUG)

Email: dolidzemaka2@gmail.com

ORCID: 0009-0004-3770-5001

აბსტრაქტი

თანამედროვე ციფრულ ეპოქაში მედიასაშუალებები ფუნქციონირებენ გარემოში, სადაც ტრადიციული საეთერო ან ბეჭდური ფორმატები ჩანაცვლებულია უწყვეტი საინფორმაციო ციკლით. მედიაკონვერგენციამ წაშალა ზღვარი ტექსტობრივ, აუდიო და ვიზუალურ მედიუმებს შორის. ამ კონტექსტში, კულტურის ჟურნალისტიკა სფერო, რომელიც ტრადიციულად მოითხოვს დროს, სპეციალიზებულ ცოდნას, მხატვრულ-ესთეტიკურ ანალიზსა და კონტექსტუალიზაციას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. წინამდებარე კვლევის ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმის დადგენაში, თუ რამდენად მოჰყვა ქართული მედიასაშუალებების ციფრულ ტრანსფორმაციას შინაარსობრივი და ჟურნალისტური ხარისხის განვითარება კულტურის საკითხების გაშუქებისას.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ მედიასივრცეში ციფრული ტრანსფორმაცია ძირითადად ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ხასიათს ატარებს. ოპერატიულობის გაზრდის მიუხედავად, იკვეთება შინაარსობრივი სტაგნაცია და ე.წ. „პრესრელიზების ჟურნალისტიკის“ დომინირება.

ტელემაუწყებლების ონლაინპლატფორმები ძირითადად საეთერო კონტენტის არქივირებისა და გავრცელების ფუნქციას ასრულებენ, ხოლო ბეჭდური პრესის ვებგვერდები აუდიტორიის ჩართულობის გაზრდის მიზნით ხშირად იყენებენ კონფლიქტის, სენსაციისა და სოციალური ქსელების ემოციური პოლემიკის ჩარჩოებს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული კონვერგენცია; კულტურის ჟურნალისტიკა; კონტენტ-ანალიზი; მედიის ჩარჩოები (framing); პრესრელიზების ჟურნალისტიკა (churnalism); ქართული მედია.

Abstract

In the contemporary digital era, media outlets operate in an environment where traditional broadcast and print formats are increasingly replaced by a continuous news cycle. Media convergence has blurred the boundaries between textual, audio, and visual media. In this context, cultural journalism a field that traditionally demands time, specialized knowledge, artistic-aesthetic analysis, and contextualization faces significant challenges. The central research problem of this study is to examine the extent to which the digital transformation of Georgian media organizations has been accompanied by substantive developments and qualitative growth in the coverage of cultural issues.

The research demonstrates that digital transformation within the Georgian media landscape remains predominantly technical and technological in nature. Despite an increase in operational speed, substantive stagnation and the dominance of "churnalism" (press-release journalism) are evident. The online platforms of television broadcasters primarily function as digital archives and distribution channels for broadcast content. Conversely, the websites of print outlets frequently employ frames of conflict, sensationalism, and emotional social media polemics to increase audience engagement.

Keywords: Digital convergence; Cultural journalism; Content analysis; Media framing; Churnalism; Georgian media.

შესავალი

თანამედროვე საკომუნიკაციო სივრცე ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას განიცდის. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ და ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობამ ტრადიციული მედიასაშუალებები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. ამ პროცესს, რომელსაც მედიაკონვერგენციას უწოდებენ, ორმხრივი გავლენა აქვს: ერთი მხრივ, ის აფართოებს მედიის ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნის სიღრმისეულ, ანალიტიკურ ჟურნალისტიკას, რომელიც ხშირად იჩაგრება სენსაციური და სწრაფი მოხმარების კონტენტის სასარგებლოდ.

კულტურის სფერო, რომელიც თავისი ბუნებით მოითხოვს გააზრებულ რეფლექსიას, პროფესიულ კრიტიკასა და კონტექსტუალურ გაანალიზებას, განსაკუთრებულ წნეხს განიცდის ციფრულ ეპოქაში. ქართულ ონლაინსივრცეში, სადაც მედიაბაზარი ძლიერ პოლარიზებულია და ორიენტირებულია პოლიტიკურ თუ სენსაციურ დღის წესრიგზე, კულტურის თემატიკას ხშირად მეორეხარისხოვანი, „შემავსებელი“ ადგილი უკავია.

ციფრული პლატფორმების ალგორითმულმა ლოგიკამ, ნახვადობისა და სოციალურ ქსელებში აუდიტორიის ჩართულობის მაჩვენებლებმა შეცვალა ჟურნალისტური პრიორიტეტები.

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს, როგორ შეიცვალა კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ ტრადიციულ მედიაში ციფრული კონვერგენციის პირობებში და რა გავლენა იქონია ამ პროცესმა ჟურნალისტურ სტანდარტებზე, მულტიმედიური ფორმატების გამოყენებასა და სარედაქციო მიდგომებზე.

კვლევის ძირითადი სამეცნიერო ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ქართული ტრადიციული მედია ინარჩუნებს კულტურული თემების გაშუქების ძირითად ჟურნალისტურ სტანდარტებს, თუმცა თანდათან ცვლის ინფორმაციის წარმოდგენის ფორმებს და უფრო აქტიურად იყენებს ციფრული კომუნიკაციის შესაძლებლობებს.

კვლევის თეორიულ-ანალიტიკურ საფუძველს სამი ძირითადი კონცეფცია ქმნის: მედიაკონვერგენციისა და მრავალპლატფორმიანობის თეორია, ჩარჩოების თეორია (*Framing Theory*) და „პრესრელიზებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის“ (*Churnalism*) კონცეფცია. მათი გამოყენება შესაძლებელს ხდის ქართული ონლაინმედიის კულტურული მასალების გაანალიზებას როგორც გავრცელების ტექნოლოგიური შესაძლებლობების, ისე ჟურნალისტური შინაარსის, წყაროების გამოყენებისა და სარედაქციო პრიორიტეტების თვალსაზრისით.

ჰენრი ჯენკინსი (Jenkins, 2006) მედიაკონვერგენციას განიხილავს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ცვლილებად, არამედ კულტურულ პროცესად, რომელიც მედიაკონტენტის გავრცელების, მოხმარებისა და აუდიტორიის მონაწილეობის ფორმებს გარდაქმნის. მარკ დეუზი (Deuze, 2004) ყურადღებას ამახვილებს მულტიმედიური ჟურნალისტიკის სპეციფიკაზე, პროფესიულ პრაქტიკასა და სხვადასხვა მედიაფორმის ერთიან საინფორმაციო პროდუქტში გაერთიანებაზე. ვინსენტ ფილაკი (Filak, 2014) კი განიხილავს თანამედროვე ჟურნალისტიკის სამუშაო პროცესებსა და სხვადასხვა პლატფორმისთვის კონტენტის მომზადებასთან დაკავშირებულ პროფესიულ გამოწვევებს. ამ კვლევაში აღნიშნული მიდგომები გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ტელევიზია და ონლაინპლატფორმები კულტურული საკითხების გაშუქებისას და რამდენად სცდება ციფრული ტრანსფორმაცია ინფორმაციის გავრცელების სისწრაფესა და ფორმატის ცვლილებას.

რობერტ ენტმანის (Entman, 1993) მიხედვით, ჩარჩო გულისხმობს რეალობის გარკვეული ასპექტების შერჩევასა და გამოკვეთას, რის შედეგადაც კონკრეტული საკითხი განსაზღვრული ინტერპრეტაციით წარმოჩნდება. ამ მიდგომის საფუძველზე კვლევაში გამოიყოფა ოთხი ანალიტიკური ჩარჩო: ინსტიტუციურ-ოფიციალური, აკადემიურ-კულტურული, სენსაციურ-კონფლიქტური და სკანდალზე ორიენტირებული. ინსტიტუციურ-ოფიციალური ჩარჩო ყურადღებას ამახვილებს ოფიციალურ განცხადებებსა და ინსტიტუციურ საქმიანობაზე; აკადემიურ-კულტურული ჩარჩო - ნაწარმოების მხატვრულ, ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობაზე; სენსაციურ-კონფლიქტური

ჩარჩო - დაპირისპირებაზე, ემოციურ შეფასებებსა და პოლემიკაზე; სკანდალზე ორიენტირებული ჩარჩო კი მოვლენას წარმოაჩენს გამორჩეულად სკანდალური ეპიზოდის ან ხმაურიანი დაპირისპირების სახით. ეს კატეგორიები კვლევის ანალიტიკური ინსტრუმენტებია და არა მედიასაშუალებების მუდმივი მახასიათებლები. ერთი პუბლიკაცია შესაძლოა ერთზე მეტ ჩარჩოსაც აერთიანებდეს.

ნიკ დეივისი (Davies, 2008) აკრიტიკებს ისეთ ჟურნალისტურ პრაქტიკას, როდესაც საინფორმაციო მასალები მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი გადამუშავების, დამატებითი წყაროების მოძიებისა და გადამოწმების გარეშე ეფუძნება პრესრელიზებსა და სხვა უკვე გავრცელებულ ინფორმაციას. ჯონსტონისა და ფორდის (Johnston & Forde, 2017) ნაშრომიც მნიშვნელოვანია ჟურნალისტური წარმოების პროცესში წყაროებზე დამოკიდებულებისა და საინფორმაციო მასალების შექმნის პრაქტიკის გასააზრებლად. მოცემულ კვლევაში ეს კონცეფცია გამოიყენება იმის შესაფასებლად, რამდენად ამატებს ონლაინმედია საწყის ინფორმაციას დამოუკიდებელ კომენტარს, დამატებით ფაქტებს, კონტექსტს ან სხვა წყაროებით გამყარებულ მონაცემებს. ოფიციალური წყაროს გამოყენება თავისთავად არ ნიშნავს „ჩერნალიზმს“; გადამწყვეტია მასალის შემდგომი ჟურნალისტური დამუშავების ხარისხი.

სამივე კონცეფცია ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოში აერთიანებს კვლევის ძირითად საკითხებს: როგორ ვრცელდება კულტურული ინფორმაცია სხვადასხვა პლატფორმაზე, როგორ ინტერპრეტირდება იგი სარედაქციო დონეზე და რა დამატებითი ჟურნალისტური ღირებულება იქმნება თავდაპირველი ინფორმაციის საფუძველზე.

მეთოდები

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის შერეული მეთოდოლოგია. ემპირიული მასალის შეგროვება მიმდინარეობდა 2026 წლის აპრილ-ივნისის პერიოდში. კვლევის ობიექტად შეირჩა ოთხი წამყვანი ქართული მედიასაშუალების ონლაინპლატფორმა: სატელევიზიო ბაზის მქონე მაუწყებლები: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (1tv.ge) და ტელეკომპანია „იმედი“ (imedinews.ge); ტრადიციული ბეჭდური მედიის ონლაინგამოცემები: „კვირის პალიტრა“ (kvirispalitra.ge) და „რეზონანსი“ (resonancedaily.com).

სულ რაოდენობრივად გაანალიზდა 112 კულტურული მედიამასალა: 1tv.ge - 43 მასალა; imedinews.ge - 32 მასალა; kvirispalitra.ge - 20 მასალა; resonancedaily.com - 17 მასალა. თვისებრივი და სიღრმისეული ანალიზისთვის გამოიკვეთა სამი ტიპოლოგიურად განსხვავებული საკვლევი ქეისი:

- ინსტიტუციურ-ოფიციალური მოვლენა - ლევილის ქართველთა მამულის მმართველი საბჭოს სხდომა;
- საზოგადოებრივი ინტერესისა და პოლემიკის მქონე კულტურული მოვლენა: რობერტ სტურუას სპექტაკლ „ვეფხისტყაოსნის“ პრემიერა რუსთაველის თეატრში;
- ეროვნული იდენტობა, ისტორიული მეხსიერება და კულტურული მემკვიდრეობა: 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

შედეგები

2026 წლის აპრილი ივნისის პერიოდში შესწავლილი მასალის მონიტორინგმა აჩვენა რომ ოთხივე მედიასაშუალებაში გამოიყენებოდა ონლაინპლატფორმის შესაძლებლობები, მათ შორის სწრაფი გამოქვეყნება, ფოტოსა და ვიდეოს ინტეგრირება, მასალის განახლება და სხვადასხვა პლატფორმაზე გავრცელება. ეს დაკვირვებები აღწერს მონიტორინგის კორპუსში გამოვლენილ პრაქტიკებს და არ გულისხმობს თითოეული მასალის ყველა კატეგორიის მიხედვით სრულ თვისებრივ კოდირებას. მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა ოფიციალური უწყებების, პრესრელიზებისა და უკვე გავრცელებული ინფორმაციის გამოყენების პრაქტიკა. ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტური ტექსტი ძირითადად ინფორმაციის სწრაფ გადაცემაზე იყო ორიენტირებული, ხოლო დამატებითი კონტექსტი, დამოუკიდებელი კომენტარი და ალტერნატიული პოზიციები შედარებით ნაკლებად ჩანდა. ეს დაკვირვებები შემდგომ განიხილება სამი თემატურად შერჩეული შემთხვევის უფრო დეტალურ ანალიზთან ერთად .

მსჯელობა

სიღრმისეული თვისებრივი შედარებისთვის მიზნობრივად შეირჩა სამი შემთხვევა: ლევილის ქართველთა მამულის მმართველი საბჭოს სხდომის გაშუქება, რობერტ სტურუას სპექტაკლის „ვეფხისტყაოსანი“ გარშემო განვითარებული დისკუსია და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისის გაშუქება.

პირველი შემთხვევა აჩვენებს, რომ ციფრული კონვერგენცია და შინაარსობრივი ტრანსფორმაცია ერთი და იგივე არ არის. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში ინფორმაცია 1tv.ge-ზე გამოქვეყნდა 20:43 საათზე, ხოლო სატელევიზიო ეთერში („მოამბეში“) გავიდა 21:00 საათზე. ვებგვერდმა სატელევიზიო ეთერს 17 წუთით გაუსწრო, რაც მოწმობს, რომ 1tv.ge-ს შეუძლია დამოუკიდებელი საინფორმაციო პლატფორმის ფუნქციის შესრულება და არა მხოლოდ საეთერო მასალის არქივირება.(1tv.ge, 2026b)

ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში სურათი განსხვავებულია: მასალა თავდაპირველად სატელევიზიო ეთერში („ქრონიკა“) გავიდა (20:00 სთ) და მხოლოდ 58 წუთის შემდეგ განთავსდა imedinews.ge-ზე. ამ შემთხვევაში ვებგვერდი ასრულებს ტელევიზიის დამხმარე და გამავრცელებელი არხის ფუნქციას.(ImediNews, 2026b).

მიუხედავად განსხვავებული ოპერატიულობისა, ორივე მედიასაშუალების მასალა ძირითადად კულტურის სამინისტროს ოფიციალურ პრესრელიზს ეყრდნობოდა. გამოიკვეთა ინსტიტუციურ ოფიციალური ფრეიმი. მოვლენის მნიშვნელობა განისაზღვრა ინსტიტუციური მოქმედებითა და ოფიციალური პირების მონაწილეობით ხოლო დამოუკიდებელი, ექსპერტული შეფასება ან ისტორიული კონტექსტი შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი. ამ მაგალითმა გამოავლინა „პრესრელიზების ჟურნალისტიკის“ ნიშნები.

„კვირის პალიტრამ“ და „რეზონანსმა“ ეს თემა საერთოდ არ გააშუქეს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოფიციალურ-ინსტიტუციური საკითხები ონლაინმედიისთვის ნაკლებად მიმზიდველია.

2026 წლის აპრილში რუსთაველის თეატრში გამართულმა პრემიერამ მკვეთრად გამოკვეთა მედიასაშუალებების ჩარჩოების (framing) განსხვავება. საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში გამოიკვეთა მრავალპლატფორმიანი კომუნიკაციის მოდელი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა (1tv.ge) (აკადემიურ-კულტურული ჩარჩო):თემას დაუთმო 7 პუბლიკაცია. ჯერ კიდევ პრემიერამდე, 2026 წლის 16 მარტს 1tv.ge-ზე გამოქვეყნდა სპექტაკლის ანონსი. პრემიერის შემდეგ კი, 6 აპრილს გამოქვეყნდა პირველი საინფორმაციო სიუჟეტი, 7 აპრილს პრემიერის ამსახველი ვიდეომასალა, ხოლო 21 აპრილს გადაცემა „დღე პირველ არხზე“ ვებგვერდზე განთავსდა სპექტაკლისადმი მიძღვნილი სიუჟეტი სათაურით „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა – სპექტაკლი რუსთაველის ეროვნულ თეატრში“. 1tv.ge-ზე განთავსებული მასალა სპექტაკლს წარმოაჩენს როგორც მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას. ყურადღება გამახვილებულია პრემიერაზე, დადგმის მხატვრულ კონცეფციაზე, თეატრის საქმიანობასა და სპექტაკლის მნიშვნელობაზე. ვებგვერდზე განთავსებული ვიდეო წარმოადგენს სატელევიზიო სიუჟეტის ციფრულ ვერსიას, რაც ადასტურებს მაუწყებლის მრავალპლატფორმიან კომუნიკაციას. ტექსტსა და ვიდეოში არ ფიქსირდება პოლემიკური შეფასებები, არ არის გამოყენებული სოციალური ქსელების კომენტარები და არ ხდება საზოგადოებრივი დაპირისპირების წარმოჩენა. ინფორმაციის წარმოდგენა ნეიტრალურია, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკას შეესაბამება. გადაცემაში „დღე პირველ არხზე“ გასული სიუჟეტი Facebook-ზეც გააზიარეს, თუმცა სოციალური ქსელი გამოყენებულია ინფორმაციის დისტრიბუციისთვის და არა დამატებითი ჟურნალისტური კონტენტის შესაქმნელად. ვებგვერდზე განთავსებული მასალები შინაარსობრივად თითქმის მთლიანად იმეორებს სატელევიზიო სიუჟეტებს, შესაბამისად, ონლაინპლატფორმა ამ შემთხვევაში ძირითადად სატელევიზიო კონტენტის გავრცელებისა და არქივირების ფუნქციას ასრულებს.(1tv.ge, 2026a)

მსგავსი მიდგომა შეინიშნება ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაშიც. 2026 წლის 6 აპრილს პრემიერის ამსახველი სიუჟეტი გადაიცა საინფორმაციო გამოშვებაში „ქრონიკა 20:00 საათზე“, ხოლო იმავე დღეს, 20:58 საათზე, მისი ვიდეოვერსია Imedi.ge-ზე გამოქვეყნდა.

ამგვარი თანმიმდევრობა აჩვენებს სატელევიზიო და ონლაინპლატფორმების ურთიერთკავშირს და ვიდეოკონტენტის სხვადასხვა არხით გავრცელებას. თუმცა გამოქვეყნების დროითი სხვაობა თავისთავად ვერ ადასტურებს შინაარსის მექანიკურ გადატანას. ამის დასადგენად საჭიროა სატელევიზიო სიუჟეტისა და ვებპუბლიკაციის ტექსტის, სათაურის, წყაროებისა და დამატებითი მასალის შედარება. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში უფრო ზუსტია საუბარი სატელევიზიო კონტენტის ონლაინგავრცელებაზე, ვიდრე მის უპირობოდ მექანიკურ ტრანსფერზე. (ImediNews, 2026a)

სრულიად განსხვავებული სტრატეგია გამოავლინა „კვირის პალიტრამ“, რომელმაც მკითხველს სპექტაკლის შესახებ ყველაზე ინტენსიური გაშუქება შესთავაზა. 7–9 აპრილის

პერიოდში გამოცემამ გამოაქვეყნა არაერთი მასალა, რომლებიც მოიცავდა როგორც პრემიერის შეფასებას, ასევე რეჟისორის, მსახიობების, კულტურის სფეროს წარმომადგენლებისა და მაყურებლის რეაქციას. 7 აპრილს გამოქვეყნებული პუბლიკაცია „სპექტაკლი, სამწუხაროდ, ვერ შედგა... სტურუას „ვეფხისტყაოსანს“ უკვე გამოუჩნდნენ ოპონენტები, ანუ „ინკვიზიტორები“ – აზრთა სხვადასხვაობა და რას ფიქრობენ პროფესიონალები“ მკითხველს აცნობს როგორც პრემიერის ფაქტს, ისე თეატრმცოდნეებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების განსხვავებულ შეფასებებს, სადაც პარალელურადაა წარმოდგენილი კრიტიკული და დადებითი პოზიციები. იმავე დღეს გამოქვეყნებული მასალები „რობერტ სტურუას კომენტარი სპექტაკლზე – როგორ აფასებს რეჟისორი თავის ნამუშევარ „ვეფხისტყაოსანს“ და „რას ამბობს კულტურის მინისტრი რობერტ სტურუას სპექტაკლზე „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ვნებათაღელვა მოჰყვა“ ყურადღებას ამახვილებს ოფიციალურ კომენტარებსა და ავტორის პოზიციაზე. მომდევნო დღეებში გამოცემას ყურადღება პრემიერიდან საზოგადოებრივ რეაქციებზე გადააქვს: 8 აპრილის პუბლიკაციები ასახავს მაყურებლის, მსახიობებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების შეფასებებს, ხოლო 9 აპრილის მასალები ძირითადად სოციალური ქსელების პოსტებსა და მსახიობების პირად პოზიციებს ეყრდნობა.

ანალიზმა აჩვენა, რომ „კვირის პალიტრა“ აქტიურად იყენებს კონფლიქტისა და პერსონალიზაციის ჩარჩოებს. სათაურების უმრავლესობა აგებულია შეფასებით, ემოციურ ან ინტრიგის შემცველ ფრაზებზე, რაც მკითხველის ინტერესის გაძლიერებასა და დისკუსიის გაგრძელებას ემსახურება. გამოცემა ფართოდ იყენებს Facebook-ში გამოქვეყნებულ პოსტებსა და საჯარო კომენტარებს. ერთი მხრივ, ეს აუდიტორიის ჩართულობის ციფრულ სტრატეგიას ასახავს, თუმცა, მეორე მხრივ, იკვეთება საფრთხე, რომ ხელოვნების ნიმუშის სიღრმისეული მხატვრული და თეატრმცოდნეობითი ანალიზი ჩაანაცვლოს სოციალურ ქსელებში არსებული ემოციური პოლემიკის, სენსაციურობისა და ყვითელი ჟურნალისტური ელემენტების ტირაჟირებამ. (Kviris Palitra, 2026a, 2026b)

„რეზონანსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალებიც განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკის მაგალითს წარმოადგენს. გამოცემა სპექტაკლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ძირითადად საინფორმაციო ფორმატში აშუქებს და ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივ გამოხმაურებასა და მიმდინარე დისკუსიებზე. 2026 წლის 8 აპრილს გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „რობერტ სტურუამ „ვეფხისტყაოსნის“ სკანდალურ სპექტაკლთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვა გამოაქვეყნა – რას წერს კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული რეჟისორი?“ ყურადღება გამახვილებულია არა სპექტაკლის მხატვრულ ანალიზზე, არამედ პრემიერის შემდეგ წარმოქმნილ კრიტიკასა და რეჟისორის საპასუხო განცხადებაზე. სათაურშივე გამოყენებული შეფასებითი ფრაზები („სკანდალური სპექტაკლი“, „საგანგებო მიმართვა“, „კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული რეჟისორი“) მკითხველის ყურადღებას კონფლიქტურ ასპექტზე ამახვილებს. ტექსტის ძირითადი ნაწილი აგებულია რობერტ სტურუას განცხადებაზე, სადაც იგი პასუხობს ოპონენტებს და საკუთარი რეჟისორული ინტერპრეტაციის დასაცავად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს იმოწმებს. იმავე თემის გაგრძელებას წარმოადგენს პუბლიკაცია „მას ტანსა კაბა ემოსა...“ – დიდი სკანდალი „ვეფხისტყაოსნის“ სტურუასეულ დადგმაზე.“ სათაურში გამოყენებული

გამოთქმა „დიდი სკანდალი“ მიანიშნებს, რომ გამოცემა ყურადღებას საზოგადოების აქტიურ გამოხმაურებასა და აზრთა სხვადასხვაობაზე ამახვილებს. ტექსტში აღნიშნულია, რომ პრემიერამ განსხვავებული შეფასებები გამოიწვია როგორც მაყურებელში, ისე კულტურის სფეროს წარმომადგენლებში, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება თინათინისა და ავთანდილის სცენებმა მიიპყრო. პუბლიკაციების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ resonancedaily.com (სენსაციურ-კონფლიქტური ჩარჩო): ინარჩუნებს შედარებით ნეიტრალურ საინფორმაციო სტილს, თუმცა კულტურული მოვლენის გაშუქებისას აქცენტს მაინც საზოგადოებრივ დისკუსიასა და კრიტიკულ გამოხმაურებებზე აკეთებს. (ResonanceDaily, 2026a)

ოთხი მედიასაშუალების შედარება აჩვენებს, რომ ერთი და იგივე კულტურული მოვლენა შეიძლება სხვადასხვა სარედაქციო აქცენტით წარმოჩნდეს: მხატვრული და კულტურული მნიშვნელობის ხაზგასმით, სატელევიზიო მასალის ონლაინგავრცელებით ან დაპირისპირებისა და სკანდალის გამოკვეთით. ეს განსხვავება ჩარჩოების თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის ინფორმაციის შერჩევისა და აქცენტირების გავლენის ემპირიულ ილუსტრაციას წარმოადგენს.

ამავე დროს, სარედაქციო ჩარჩოების განსხვავება ავტომატურად არ ნიშნავს ერთი მედიასაშუალების უპირობო უპირატესობას მეორესთან შედარებით. ამის შესაფასებლად საჭიროა არა მხოლოდ სათაურების, არამედ წყაროების მრავალფეროვნების, მხატვრული კონტექსტის, ფაქტების გადამოწმებისა და სხვადასხვა პოზიციის წარმოდგენის ანალიზიც. სწორედ ეს კრიტერიუმები იძლევა შესაძლებლობას, განვასხვაოთ კულტურული მოვლენის ჟურნალისტური გააზრება მისი კონფლიქტურ ან სკანდალურ ამბად წარმოჩენისგან.

კვლევაში მესამე საკვანძო მაგალითად განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის (26 მაისი) გაშუქება, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენას, არამედ ეროვნული იდენტობის, ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის რეპრეზენტაციას მედიაში. დამოუკიდებლობის დღის გაშუქება აერთიანებს ისტორიულ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სიმბოლურ ასპექტებს, რის გამოც იგი კულტურის ჟურნალისტიკის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს.

26 მაისისადმი მიძღვნილი მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ ტრადიციული მედია და მათი ვებგვერდები ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებული სარედაქციო პრიორიტეტებით აშუქებენ. საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია „იმედის“ შემთხვევაში ვებგვერდები ძირითადად სატელევიზიო კონტენტის ციფრულ გაგრძელებას წარმოადგენს: ორივე მაუწყებელმა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სიუჟეტები თავდაპირველად სატელევიზიო ეთერში გადასცა, ხოლო შემდგომ ისინი ვებგვერდებზე ვიდეოფორმატით განათავსა. ონლაინპლატფორმები ამ შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელებისა და არქივირების ფუნქციას ასრულებს, შინაარსობრივად იმეორებს ეთერში გასულ სიუჟეტებს და ნაკლებად იყენებს ციფრული ჟურნალისტიკის შესაძლებლობებს (დამატებითი ჰიპერბმულები, ინტერაქტიული ელემენტები, ისტორიული წყაროები თუ ექსპერტული ანალიზი).

კერძოდ, 1tv.ge-მ გამოაქვეყნა ვიდეოსიუჟეტი „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“, სადაც ყურადღება გამახვილებულია დამოუკიდებლობის დღის ისტორიულ მნიშვნელობაზე, საზეიმო ღონისძიებებსა და ეროვნული მეხსიერების სიმბოლურ ასპექტებზე (მათ შორის, ისტორიულ-სულიერ კონტექსტზე ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავთან დაკავშირებით). (1tv.ge, 2026c)

თავის მხრივ, imedinews.ge-მ გამოაქვეყნა ვიდეომასალა „26 მაისის აღსანიშნავად ათონელის ქუჩასა და მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა თემატური სივრცეა მოწყობილი“, რომელიც ფოკუსირებულია სადღესასწაულო გარემოზე, კულტურულ აქტივობებსა და ოფიციალური ღონისძიებების მიმდინარეობაზე. სიუჟეტი ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, მათ ვიზუალურ მხარესა და ოფიციალურ პირთა განცხადებებს, რაც „იმედისთვის“ დამახასიათებელ ოფიციალურ-საინფორმაციო ჩარჩოს ასახავს. ასეთი სახით გაშუქება ქმნის დღესასწაულის საჯარო და ცერემონიულ განზომილებას, თუმცა მისი შინაარსობრივი სისრულის შესაფასებლად საჭიროა იმის გარკვევაც, რამდენად არის წარმოდგენილი ისტორიული კონტექსტი, მოქალაქეთა პერსპექტივები და დამოუკიდებელი შეფასებები. (ImediNews, 2026c)

განსხვავებული მიდგომა იკვეთება ტრადიციული ბეჭდური მედიის ონლაინგამოცემებში. kvirispalitra.ge-მ ყველაზე მრავალფეროვანი გაშუქება შესთავაზა აუდიტორიას და გამოაქვეყნა სხვადასხვა ფორმატის მასალები: პუბლიკაცია „გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! დღეს 26 მაისია!“ ემოციურ-სადღესასწაულო ხასიათისაა; „გზა 1918 წლის 26 მაისიდან დღემდე – გადახედე საუკუნეს“ ისტორიულ-შემეცნებით ფორმატს წარმოადგენს, ხოლო ვიდეომასალა „ემიგრაციაში გადახვეწილი ქართველი სამხედროების ყველაზე ცრემლიანი 26 მაისი“ ისტორიულ მოვლენას პერსონალური ისტორიების საშუალებით წარმოაჩენს. ამგვარად, გამოცემამ შექმნა ემოციური, საგანმანათლებლო და იდენტობაზე ორიენტირებული ნარატივი. (Kviris Palitra, 2026c)

resonancedaily.com-მა, „კვირის პალიტრისგან“ განსხვავებით, უპირატესობა მიანიჭა პრაქტიკულ და პოლიტიკურ ინფორმაციას: ინფორმაციული შენიშვნა „26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით, თბილისის გარკვეულ არეალებში საგზაო მოძრაობა შეიზღუდება“ პრაქტიკული ხასიათისაა,) ხოლო პუბლიკაცია „26 მაისი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში - ვინ და როგორ მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“ თემას საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში წარმოაჩენს. წარმოდგენილი აღწერის მიხედვით, „რეზონანსის“ მასალებში შედარებით მნიშვნელოვანი იყო ღონისძიებებთან დაკავშირებული პრაქტიკული ინფორმაცია და საგარეო-პოლიტიკური ასპექტები. ეს აქცენტები დამოუკიდებლობის დღის გაშუქებას საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე მოვლენებთან და ქვეყნის პოლიტიკურ კონტექსტთან აკავშირებს. ამ შემთხვევაში სარედაქციო მიდგომის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია, თუ რა წილი უჭირავს მასალაში ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, ისტორიულ განმარტებებსა და პოლიტიკურ შეფასებებს. (Resonance Daily, 2026b, 2026c).

ოთხი მედიასაშუალების შედარება ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის დღე შეიძლება წარმოჩნდეს სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული პერსპექტივით: როგორც ისტორიული მეხსიერებისა და ეროვნული იდენტობის საკითხი, ოფიციალური სახელმწიფოებრივი ღონისძიება, საგანმანათლებლო ნარატივის საფუძველი ან მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა. ამდენად, განსხვავება მხოლოდ ინფორმაციის ფორმატში ან გავრცელების სისწრაფეში კი არ ვლინდება, არამედ იმაშიც, თუ რომელ ასპექტებს ანიჭებს მედია უპირატესობას და როგორ უკავშირებს მათ აუდიტორიისთვის გასაგებ ნარატივს.

ამ მაგალითის ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სარედაქციო აქცენტი ავტომატურად არ შეფასდეს როგორც შინაარსობრივი უპირატესობა ან ნაკლი. ისტორიულ-კულტურული სიღრმე, ოფიციალური ღონისძიებების ოპერატიული გაშუქება და პრაქტიკული ინფორმაცია განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებს. შესაბამისად, მათი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს კვლევის საერთო კრიტერიუმებს: წყაროების მრავალფეროვნებას, ისტორიული კონტექსტის სიზუსტეს, დამოუკიდებელი განმარტებების არსებობასა და ინფორმაციის ჟურნალისტური დამუშავების ხარისხს.

დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქართული მედიის ციფრული ტრანსფორმაცია წარმატებით განხორციელდა ტექნოლოგიურ დონეზე, გავრცელების სისწრაფე გაზრდილია, თუმცა შინაარსობრივი ცვლილება მინიმალურია. კულტურის ჟურნალისტიკის შინაარსობრივი და თვისებრივი ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ არასრულ პროცესს წარმოადგენს. ერთი და იგივე კულტურული მოვლენა სხვადასხვა მედიაში სრულიად განსხვავებულ „ამბად“ გარდაიქმნება. მზა ინფორმაციის ტირაჟირება დამატებითი წყაროების, ექსპერტებისა და ჰიპერბმულების გარეშე ამცირებს კულტურის ჟურნალისტიკის სიღრმეს. სოციალური პლატფორმებიდან წამოღებული ემოციური პოლემიკა ხშირად ენაცვლება სიღრმისეულ კულტურულ-ესთეტიკურ ანალიზს.

კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა, თუმცა მედია აქტიურად იყენებს ციფრულ პლატფორმებს, შინაარსობრივი ადაპტაცია ხშირად ფორმალურ ნიშნებს ატარებს. ქართული კულტურის ჟურნალისტიკის შემდგომი განვითარება მოითხოვს არა ტრადიციული მედიისთვის შექმნილი მასალის მექანიკურ გადატანას ონლაინსივრცეში, არამედ უშუალოდ ონლაინაუდიტორიაზე მორგებული, ინტერაქციული, მულტიმედიური და სიღრმისეული შინაარსის შექმნას.

ბიბლიოგრაფია

1tv.ge. (2026a, April 7). : ამბავი როსტევან არაბთა მეფისა სპექტაკლი რუსთაველის ეროვნულ თეატრში [Story of Rostevan, King of the Arabians: A play at Rustaveli National Theatre]. https://1tv.ge/video/ambavi-rostevan-arabta-mefisa-speqtaklirustavelis-erovnul-teatrshi/

1tv.ge. (2026b, April 10). ლევილის ქართველთა მამულის მმართველი საბჭოს სხდომა კულტურის სამინისტროში [Meeting of the Governing Council of the Georgian Estate of

Leuville at the Ministry of Culture]. https://1tv.ge/news/levilis-qartveltamamulis-mmartveli-sabchos-sxdoma/

1tv.ge. (2026c, May 26). 26 — [May 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე — Independence Day of Georgia]. https://1tv.ge/news/26-maisi-sakartvelosdamoukideblobis-dghe/

Davies, N. (2008). Flat earth news: An award-winning reporter exposes falsehood, distortion and propaganda in the global media. Chatto & Windus. Deuze, M. (2004). What is multimedia journalism? Journalism Studies, 5(2), 139–152. https://doi.org/10.1080/1461670042000211131

Entman, R. M. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. Journal of Communication, 43(4), 51–58. https://doi.org/10.1111/j.1460-2466.1993.tb01304.x

Filak, V. F. (2014). Convergent journalism: An introduction: Writing and producing across media (2nd ed.). Focal Press.

ImediNews. (2026a, April 6). 20:00 - 6 2026 [Kronika at ქრონიკა საათზე აპრილი წელი 20:00 — April 6, 2026]. https://www.imedi.ge/shows/video/26753/qronika-2000-saatze--6-aprili-2026-tseli

ImediNews. (2026b, April 10). : ლევილის მამულის მმართველი საბჭოს სხდომა [Meeting of the Governing Council of Leuville Estate: Kronika ქრონიკის სიუჟეტი report]. https://www.imedi.ge/ge/video/222150/levilis-mamulis-mmartveli-sabchossxdoma

ImediNews. (2026c, May 26). : საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს [Georgia celebrates Independence Day: Kronika report]. ქრონიკის სიუჟეტი https://www.imedi.ge/ge/video/223150/sakartvelo-damoukideblobis-dghes-zeimobs

Jenkins, H. (2006). Convergence culture: Where old and new media collide. New York University Press.

Johnston, J., & Forde, S. (2017). Churnalism: Revised and revisited. Digital Journalism, 5(8), 943–946. https://doi.org/10.1080/21670811.2017.1355026

Kviris Palitra. (2026a, April 7). : რობერტ სტურუას კომენტარი სპექტაკლზე როგორ აფასებს რეჟისორი თავის ნამუშევარს ვეფხისტყაოსანს [Robert Sturua's comment on the play]. https://kvirispalitra.ge/article/144611-robert-sturuas-komentari-spektaklzerogor-apasebs-rezhisori-tavis-namushevar-vepxistqaosans-video/

Kviris Palitra. (2026b, April 8). " გაზცრილსა ტანსა ემოსნეს ქარქუმნი უსაფირონი რობიკო სტურუას პასუხი სპექტაკლ ვეფხისტყაოსნის კრიტიკოსებს „ " [Robiko Sturua's response to critics of The Knight in the Panther's Skin]. https://kvirispalitra.ge/article/144655-gazcvrilsa-tansa-emosnes-qarqumni-usapironirobiko-sturuas-pasuxi-spektakls-vepxistqaosnis-kritikosebs/

Kviris Palitra. (2026c, May 26). 26 მაისი ისტორიული მეხსიერება და საქართველოს დამოუკიდებლობა [May 26: Historical memory and Georgia's independence]. https://kvirispalitra.ge/article/145100-26-maisi-istoriuli-mekhsiereba/

Resonance Daily. (2026a, April 8). : ვნებათაღელვა რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას ახალი დადგმა [Excitement at Rustaveli Theatre: Robert Sturua's new production]. https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=248102

Resonance. (2026b, May 25). 26 მაისის ღონისძიებების გამო თბილისში ავტოსატრანსპორტო მოძრაობა დროებით შეიზღუდება [Traffic in Tbilisi will be temporarily restricted due to May 26 events] https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=227876

Resonance.(2026c, April 8) რობერტ სტურუამ "ვეფხისტყაოსნის" სკანდალურ სპექტაკლთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვა გამოაქვეყნა - რას წერს კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული რეჟისორი?[Robert Sturua published a special address regarding the scandalous production of 'The Knight in the Panther's Skin' - what does the director, caught in a storm of criticism, write?] https://www.resonancedaily.com/index.php?%20id_rub=4&id_artc=248974

Resonance.(2026d, April 10) „მას ტანსა კაბა ემოსა..." - დიდი სკანდალი „ვეფხისტყაოსნის" სტურუასეულ დადგმაზე [She was wearing a dress…" - A big scandal over Sturua's staging of 'The Knight in the Panther's Skin]

https://www.resonancedaily.com/index.php?%20id_rub=5&id_artc=249063

Resonance.(2026f, April 8) რობერტ სტურუამ "ვეფხისტყაოსნის" სკანდალურ სპექტაკლთან დაკავშირებით საგანგებო მიმართვა გამოაქვეყნა - რას წერს კრიტიკის ქარცეცხლში გახვეული რეჟისორი?[Robert Sturua published a special address regarding the scandalous production of 'The Knight in the Panther's Skin' - what does the director, caught in a storm of criticism, write?] https://www.resonancedaily.com/index.php?%20id_rub=4&id_artc=248974

Resonance.(2026g, April 10) „მას ტანსა კაბა ემოსა..." - დიდი სკანდალი „ვეფხისტყაოსნის" სტურუასეულ დადგმაზე [She was wearing a dress…" - A big scandal over Sturua's staging of 'The Knight in the Panther's Skin] https://www.resonancedaily.com/index.php?%20id_rub=5&id_artc=249063

Resonance Daily. (2026e, May 26). 26 მაისი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში - ვინ და როგორ მიულოცა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე[May 26 in the world's spotlight - who congratulated Georgia on Independence Day and how

https://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=228161&fbclid=IwY2xjawVDM8lleHRuA2FlbQIxMABwZG9mAWJyaWQRMUZRWU5SNTExeE9lTFIzanNzcnRjBmFwcF9pZBAyMjIwMzkxNzg4MjAwODkyAAEeJq0b-fKQ3geeLq5ybG747I3Fku6bKdT5rz-68lMCxMpCNnjM4sHy0JPSHw0_aem_1GAKwD-dZcfUmme6VYjryA